

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 5 5 6

ქ. ბათუმი, 07 თებერვალი 2018 წ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით ა(ა)იპ „ახალგაზრდული ორგანიზაცია ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის“ სასყიდლიანი სარგებლობის (უზუფრუქტი) უფლებით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N84 განკარგულების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს „ახალგაზრდული ორგანიზაცია ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის“ (ს/კ 448389823) პირდაპირი განკარგვის წესით, 5 წლის ვადით, უზუფრუქტის უფლებით სარგებლობაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, ზ. გამსახურდიას ქ. N6-ში მდებარე 65,50 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი (საკადასტრო კოდი: 05.21.09.011.01.524).

2. ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონების წლიური სარგებლობის საფასური (სიმბოლური) განისაზღვროს 100,0 (ასი) ლარის ოდენობით.

3. ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ახალგაზრდული ორგანიზაცია ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის“ სარგებლობაში გადაცემის მიზანს წარმოადგენს ამ საზოგადოების წესდებით განსაზღვრული მიზნების - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სხვადასხვა პროექტებში ჩართულობის, მათი უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის და ა.შ. განხორციელებისათვის გამოყენება.

4. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობაში მიმღები პირის მიერ წინამდებარე ბრძანებით/სარგებლობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის ფორმები და დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობები, ასევე სარგებლობის საფასურის გადახდის წესი განისაზღვრება სარგებლობის ხელშეკრულებით.

5. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატს წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების სარგებლობაში გადაცემის ხელშეკრულების მომზადება.

6. წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების ა(ა)იპ „ახალგაზრდული ორგანიზაცია ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის“ სარგებლობის უფლებით გადაცემის ხელშეკრულებაზე ქალაქ ბათუმის მუნიცი-

პალიტეტის მერის სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის ქონების მართვისა და განკარგვის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროს სპეციალისტს რუსუდან ჟოჟაძეს (პ/№61006029331).

7. წინამდებარე ბრძანების შესახებ ეცნობოს ა(ა)იპ „ახალგაზრდული ორგანიზაცია ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის“.

8. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლაშა კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი